



**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ**

**ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)
შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი
ალტერბრიჯი**

16 იანვარი, 2023

6 მარტი, 2023

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ.....	3
○ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	10
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	10
1.2 პროგრამის მიზნები	10
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	11
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	12
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	14
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	17
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.....	22
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.....	22
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	23
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები.....	25
2.4. სტუდენტების შეფასება.....	26
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	27
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები	27
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	29
4.1. ადამიანური რესურსი	29
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება ..	32
4.4. მატერიალური რესურსი	33
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	34
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	35
5.1. შიდა ხარისხის შეფასება.....	35
5.2. გარე ხარისხის შეფასება	37
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება.....	37
პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა	40

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405284473
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლილი ხეჩუაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მზია თედიაშვილი კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო შანგუა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

○ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ფსიქოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Psychology
უმაღლესი განათლების საფეხური	აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფსიქოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Psychology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფსიქოლოგია, 0313
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული, N374633, 11.04.2022
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დეკლარირებული მიზანია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ფსიქოლოგიის ბაკალავრის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.

პროგრამა ხუთ ძირითად მიზანს ისახავს: სტუდენტისთვის (1) ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების საფუძვლებისა და თანამედროვე მიმდინარეობების შესახებ ფართო ცოდნის მიცემა და ამ ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარის გამომუშავება; (2) განვითარების და პიროვნების ჩამოყალიბების ნორმალური და პათოლოგიური ქცევის ამხსნელი თეორიების, დიაგნოსტიკისა და ინდივიდუალური, ჯგუფური და კლინიკური მეთოდების, პიროვნების ქცევის შეცვლის კანონზომიერებებისა და პიროვნების ქცევის ჩამოყალიბებაში სოციალური და კულტურული ფაქტორების როლის შესწავლის საშუალების მიცემა; (3) ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის უნარის გამომუშავება; (4) კრიტიკული აზროვნებისა და რაოდენობრივი ანალიზის უნარის განვითარების, წერილი და ზეპირი კომუნიკაციის ჩვევების გაუმჯობესების შესაძლებლობის მიცემა და (5) რეალობის მეცნიერულად დასაბუთებული ხედვის ფორმირება.

წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს, 8 სემესტრს. 240 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით: (ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები -- 162 კრედიტი (მათ შორის, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისთვის), (ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები -- 24 კრედიტი, (გ) თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე) -- 42 კრედიტი და (დ) თავისუფალი კომპონენტი -- 12 კრედიტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფსიქოლოგია“ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასების მიზნით ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 იანვარს.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, შეხვდნენ და გაესაუბრნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საბაკალავრო პროგრამისა და მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფსიქოლოგია“ მეტწილად ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს, შესაბამისობაშია II, III, IV და V სტანდარტებთან და მეტწილ შესაბამისობაშია I სტანდარტთან.

▪ რეკომენდაციები

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

1. სწავლის შედეგები აღწერდეს იმ ცოდნას, უნარებს, და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იქნეს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

2. სასწავლო კურსები – „პათოფსიქოლოგია“, „ნეიროფსიქოლოგია“ და „ბავშვთა ფსიქოლოგია“ – გადატანილ იქნეს არჩევით კურსების ჩამონათვალში.
3. საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალს დაემატოს (ა) შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია და (ბ) ექსპერიმენტული ფსიქოლოგია.
4. ცალ-ცალკე სავალდებულო კურსის სახით შეეთავაზოთ სტუდენტებს სტატისტიკა (ერთ ან ორნაწილიანი კურსი) და სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისთვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის (მაგალითად, SPSS-ის) სწავლებაზე მიმართული კურსი.
5. გამრავალფეროვნდეს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალი და გაიზარდოს ისეთი სპეციფიკური კურსების რაოდენობა, რომლებიც არ განეკუთვნებიან კლინიკურ სფეროს, მაგალითად, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებით.
6. გადაიხედოს სასწავლო კურსების „პიროვნების ფსიქოლოგია 1“ და „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ წინაპირობები და წინაპირობის გრაფაში მიეთითოს „წინაპირობის გარეშე“.

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

7. სასწავლო კურსის „კომუნიკაციის ფსიქოლოგია“ სახელწოდებებისა და შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.
8. კურსების „ნეიროფიზიოლოგია სოციალურ მეცნიერებებში“ და „კლინიკური ფსიქოლოგია“ სასწავლო გეგმიდან ამოღება, ან მათი შინაარსის იმგვარად მოდიფიცირება, რომ (მთლიანად ან ნაწილობრივ) არ იმეორებდეს სხვა სასწავლო კურსის შინაარსს.
9. სავალდებულო სასწავლო კურსების „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ და „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ შინაარსი და საკითხავი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან.
10. კურსის „სტატისტიკის მეთოდები ფსიქოლოგიაში“ ორ ცალკეულ კურსად გაყოფა, რომელთაგან ერთი სავალდებულო (ერთ ან ორ სემესტრიანი) კურსი იქნება და საკუთრივ სტატისტიკის სწავლებას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე – საკუთრივ SPSS-ის გამოყენებას ასწავლის სტუდენტებს და პროგრამის განმახორციელებლების სურვილისამებრ, სავალდებულო ან არჩევითი კურსების ჩამონათვალში იქნება შეთავაზებული.
11. გადაისინჯოს პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ კურსებში შეთავაზებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა, საჭიროების შემთხვევაში ჩანაცვლდეს რელევანტური და შედარებით ახალი, თანამედროვე ცოდნისა და დარგის უახლესი მიღწევების ამსახველი წყაროებით, რომლებიც სოციალურ მეცნიერებებში წყაროების მითითების დადგენილი წესით მიეთითება სილაბუსის შესაბამის ნაწილში. ეს კურსებია: „ფსიქოლოგიური ტრავმა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები“, „პათოფსიქოლოგია“, „ნეიროფსიქოლოგია“, „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები“, „შესავალი სექსოლოგიაში“, „სამხედრო ფსიქოლოგია“.

2.2. სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

12. საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს კვლევითი უნარების გამომუშავებაზე მიმართული კომპონენტები, რაც გულისხმობს იმას, რომ (ა) არსებული კურსების შინაარსი მეტ შესაბამისობაში მოვიდეს ფსიქოლოგიის დარგის სპეციფიკასთან და (ბ) პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სავალდებულო კურსები სრულად უზრუნველყოფდეს ფსიქოლოგიის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულისთვის აუცილებელ კვლევით კომპეტენციებს.

13. ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი იყოს დარგის შესაბამისი პრაქტიკის სილაბუსი როგორც მისი დასახელების, ისე შინაარსის, გაწერილი აქტივობებისა და შეფასების კრიტერიუმების თვალსაზრისით.
14. პრაქტიკის განმასრვლებელი ორგანიზაციების შერჩევას (ა) გათვალისწინებულ იქნეს ფსიქოლოგიის დარგის მრავალფეროვნება და ფართო დიაპაზონი, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტს მიეცეს არაკლინიკური გარემოსგან განსხვავებული სამუშაო გარემოში ყოფნის გამოცდილების მიღების შესაძლებლობა და (ბ) პრაქტიკისთვის შერჩეული ორგანიზაციების საქმიანობის სფერო შესაბამისობაში იყოს პროგრამის შინაარსში შეთავაზებული ქვედარგებისა თუ მიმართულებების შინაარსთან.

4.1. ადამიანური რესურსი

15. ერთი მხრივ, აკადემიური/მოწვეული პერსონალის კორპუსის კვალიფიკაციის/ კომპეტენციებისა და, მეორე მხრივ, მათ მიერ წაკითხული კურსების თემატიკის/შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

2.2. სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში მითითებული კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული კრედიტების რაოდენობასთან. (20 კრედიტის ნაცვლად სილაბუსში უნდა იყოს 10 კრედიტი).

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხში 1.4 ქვესტანდარტის შესაბამის პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ექვსი კურსიდან („პათოფსიქოლოგია“, „ნეიროფსიქოლოგია“, „ბავშვთა ფსიქოლოგია“, „ფსიქოკონსულტაციის და ფსიქოთერაპიის საფუძვლები“ და „განათლების ფსიქოლოგია“), რომელთა სავალდებულოდ არჩევითი კურსების ჩამონათვალში გადატანა იყო რეკომენდებული, დაწესებულება თვლის, რომ ორი კურსი („ბავშვთა ფსიქოლოგია“ და „ფსიქოკონსულტაციის და ფსიქოთერაპიის საფუძვლები“) უნდა დარჩეს სავალდებულო საგნების ჩამონათვალში. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ კურსს, არგუმენტირებულ პასუხში ნათქვამია, რომ ისინი უკვე გადატანილ იქნა სავალდებულო კურსების სიაში. ექსპერტთა ჯგუფისთვის მისაღებია დაწესებულების პოზიცია.

ამრიგად, 1.4 ქვესტანდარტის შესაბამის როგორც პირველ, ისე – დანარჩენ რეკომენდაციებთან მიმართებით, დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში ნათქვამია, რომ უსდ-სთვის მისაღებია ისინი და უკვე გათვალისწინებულ იქნა. ვინაიდან ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ევალება, არგუმენტირებულ პასუხთან ერთად, დამატებითი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა განხორციელებული ცვლილებების

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

შესახებ, პირველი რეკომენდაცია რეფორმულირდა (იხ. ზემოთ რეკომენდაციების ნაწილი), ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები დარჩა უცვლელი და განხორციელებული ცვლილებების შესახებ ანგარიშს (შესაბამისი დოკუმენტაციითურთ) დაწესებულება შესაბამის ეტაპზე წარმოადგენს.

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის თანახმად, ვიზიტის მსვლელობის პროცესშივე წარმოდგენილი იქნა გამოსწორებული ხარვეზი, რომელიც შეეხებოდა პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსებს. აღნიშნული მისაღებია ექსპერტთა ჯგუფისთვის. რაც შეეხება „კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ სილაბუსს, არგუმენტირებულ პასუხში ნათქვამია, რომ დანართის სახით წარმოადგინა უსდ-მ განახლებული სილაბუსი, თუმცა ამ ვინაიდან ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ევალება ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, აღნიშნული სილაბუსი არ მისულა ექსპერტთა ჯგუფამდე. აქედან გამომდინარე, შესაბამისი რეკომენდაცია მოდიფიცირდა (იხ. ქვემოთ, რეკომენდაციების ნაწილი)

რაც შეეხება სავალდებულო სასწავლო კურსის „ქვევის ბიოლოგიური საფუძვლები“ და „არჩევითი კურსის „ნეიროფიზიოლოგია სოციალურ მეცნიერებებში“ შინაარსების თანხვედრას, არგუმენტირებული პასუხის თანახმად, გადაისინჯა და განახლდა ამ უკანასკნელის შინაარსი, თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ევალება ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ამიტომ რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

არგუმენტირებულია დაწესებულების პოზიცია „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სავალდებულო კურსის შინაარსის ნაწილობრივ თანხვედრასთან დაკავშირებით, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ეს კურსები სავალდებულო კურსებია, შინაარსის თანხვედრა (განურჩევლად იმისა, რამდენად განსხვავებულია საკითხავი მასალა), არ არის მიზანშეწონილი. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია კურსების „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ თაობაზე და, ასევე, რეკომენდაცია კურსის „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში“ შესახებ, მისაღებია დაწესებულებისთვის და დაწყებულია მუშაობა მისი განხორციელებისთვის. შესაბამისად, ეს რეკომენდაციები რჩება უცვლელი.

ასევე, უცვლელი რჩება საკითხავ ლიტერატურასთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რომლის შესრულებაზე მუშაობაც, არგუმენტირებული პასუხის მიხედვით, დაწესებულებამ უკვე დაიწყო.

2.2. სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის მიხედვით, დაწესებულებისთვის მისაღებია ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები და დაწყებული აქვთ მსჯელობა და მოსამზადებელი სამუშაოები მათ გასათვალისწინებლად. შესაბამისად, რეკომენდაციები რჩება უცვლელი.

4.1. ადამიანური რესურსი

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი, რომლის მიხედვითაც პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური/მოწვეული პერსონალით. ეს ვითარება ექსპერტთა დასკვნის პროექტშიც არის აღნიშნული და ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაცია არ შეეხება სათანადო პერსონალის დეფიციტის ამოვსებას. რეკომენდაცია კონკრეტულად მიემართება ზოგიერთი კურსის შინაარსისა და მისი წამკითხველის კვალიფიკაციის/გამოცდილების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას (იხ. მსჯელობა ზემოთ – დახრილი შრიფტით და შესაბამისი რეკომენდაცია ქვემოთ). შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 2022 წლის 11 აპრილს MES 5 22 0000374633 11/04/2022 მიანიჭა პირობითი აკრედიტაცია (გადაწყვეტილება MES 5 22 0000374633) ერთი წლის ვადით. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯის“ რექტორის 2022 წლის 1 აგვისტოს ბრძანებით (ბ/1-

01/02) შეიქმნა ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის პაკეტის მოსამზადებელი თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი, რომელმაც იმუშავა მიღებული რეკომენდაციების შესაბამისი ცვლილებების განხორციელებაზე.

ჯგუფმა გაითვალისწინა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები, ასახა საგანმანათლებლო პროგრამაში და დაამტკიცა დადგენილი წესით. გარდა ამისა, რეაკრედიტაციის პერიოდში სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა, სამეცნიერო კონფერენციები, განხორციელდა პროექტები ფსიქოლოგიის პროგრამის განვითარების მიმართულებით, კერძოდ:

- განახლდა სწავლის შედეგების რუკა და განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები;
- გადაიხედა ცალკეული სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და სწავლის წინაპირობები;
- ძირითადი და არჩევითი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს დაემატა სასწავლო კურსები;
- მოდიფიცირდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები;
- ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან ბეჭდური სახით განთავსდა კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგები „როგორ გავწეროთ სწავლის შედეგები“ და „სწავლების აქტიური მეთოდები“;
- სწავლის შედეგების შესაბამისად, ზოგიერთ კურსში განახლდა სწავლის შეფასები მეთოდები;
- მოდიფიცირდა საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია და შესაბამისობაში მოვიდა მოქმედ კანონმდებლობასთან;
- გაიზარდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
- განახლდა შრომის ბაზრის კვლევა;
- განხორციელდა პროგრამის გარე შეფასება.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს 5 მიზანი: (1) „მესძინოს სტუდენტს ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, საფუძვლებისა და მისი თანამედროვე მიმდინარეობების შესახებ ფართო ცოდნა; (2) მისცეს სტუდენტს საშუალება, შეისწავლოს განვითარებისა და პიროვნების ჩამოყალიბების ნორმალური და პათოლოგიური ქცევის ამხსნელი თეორიები; (3) სტუდენტს გამოუმუშაოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და პროფესიული ეთიკის დაცვის უნარი; (4) სტუდენტს მისცეს კრიტიკული აზროვნებისა და რაოდენობრივი ანალიზის უნარის განვითარების შესაძლებლობა; (5) სტუდენტს ჩამოუყალიბოს რეალობის მეცნიერულად დასაბუთებული ხედვა.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას: „მისცეს ადამიანებს პიროვნული და პროფესიული თვითრეალიზების ახალი შესაძლებლობები. რისთვისაც ქმნის კვლევისა და ცოდნის მიღების ხელმისაწვდომ პირობებს, აყალიბებს საერთაშორისო პლატფორმას განათლებისა და შრომის ბაზრის ურთიერთქმედებისთვის, ხელს უწყობს მართვისა და კომუნიკაციის პროცესების გაუმჯობესებას ქვეყანაში“. პროგრამის მიზნები, ასევე, თანხვედრაშია სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებთან და სტრატეგიასთან.

დეკლარირებული მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია, მიღწევადია და ემსახურება ფსიქოლოგიის ბაკალავრის მომზადებას, რომლის კვალიფიკაცია დასაქმების ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას უნდა უზრუნველყოფდეს; მიზნებში ასახულია, თუ რა საბაზო თეორიული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს საგანმანათლებლო პროგრამა. მათში გათვალისწინებულია სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურის თავისებურებები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზნებთან სრულ შესაბამისობაში ვერ მოდის წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, რამაც შექმნა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველი (იხ. 1.4 და 1.5 ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციები).

პროგრამის მიზნებში ასახულია, თუ რა წვლილს შეიტანს ფსიქოლოგიის სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში; კერძოდ, ფსიქოლოგიის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენებით შესაძლებელია საქართველოში დღეს არსებული არაერთი პრობლემის გადაჭრა განათლების, მართვის და სხვა სფეროებში. რაც საბოლოო ჯამში, საზოგადოებრივი ურთიერთობების გაჯანსაღებას და გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის დეკლარირებული მიზნები გაცილებით მრავალფეროვანი და ფართოა, ვიდრე წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ანუ სავალდებულო და არჩევითი კურსების შეთავაზებული ერთობლიობა. აღნიშნულმა შექმნა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველი (იხ. 1.41.5 ქვესტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციები).

უნივერსიტეტში დანერგილია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომლის მნიშვნელოვანი მიმართულებებია სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა, ერთობლივ კვლევებში მონაწილეობა, უცხოელი ექსპერტების ჩართვა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან შეხვედრებმა დაადასტურა, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების, მათ შორის, პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ალტერბრიჯის მისია;
- დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა; <https://alterbridge.edu.ge/wp-content/uploads/pdf/strategiuli-ganvitarebis-gegma-2019-2026.pdf>
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებელთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1. პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას 10 სწავლის შედეგი აქვს, რომელიც 3 ჯგუფად ერთიანდება:

- ცოდნა და გაცნობიერება: პროგრამის კურსდამთავრებული (1) აკლასიფიცირებს ფსიქოლოგიის მეცნიერების თეორიულ საფუძვლებს თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიმდინარეობებად; (2) განმარტავს ძირითადი ფსიქიკური აშლილობების ზოგად დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს; (3) ხსნის თანამედროვე საზოგადოების კვლევის პროცესში ფსიქოლოგიის პროფესიის მნიშვნელოვნებას.
- უნარი: მიღებული ცოდნის რეალიზების შედეგად კურსდამთავრებული (4) პრაქტიკაში იყენებს ფსიქოლოგიის ძირითად თეორიებს; (5) ახდენს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ფსიქოლოგიური პრობლემების ინტერპრეტაციას; (6) აანალიზებს მის მიერ დაგეგმილ მცირე მასშტაბის ფსიქოლოგიური კვლევის შედეგებს; (7) ამყარებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას სფეროს პროფესიონალებთან და არაპროფესიონალებთან; (8) მუშაობს ჯგუფურად და ინდივიდუალურად დარგთან დაკავშირებული ამოცანების შესრულებაზე.
- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: კურსდამთავრებული (9) კეთილსინდისიერად იყენებს პროფესიულ ცოდნას და (10) ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან განსხვავებულ მახასიათებლებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის მსვლელობისას სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან საუბრის შედეგად იკვეთება, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს და შეესაბამება პროგრამის დეკლარირებულ მიზნებს (იხ. 1.1 ქვესტანდარტი) და გაზომვადია. თუმცა, მეტ-ნაკლებად აღწერს იმ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას. სწავლის შედეგები გაზომვადია, მაგრამ პროგრამის ამჟამინდელი შინაარსისა და სტრუქტურის გათვალისწინებით, მეტ-ნაკლებად მიდწევადია და რეალისტური; თუმცა ფორმულირებული სწავლის შედეგები ნამდვილად შეესაბამება კვალიფიკაციის მე-6 დონეს, დეტალური სფეროს აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

ზემოთ აღნიშნულმა ვითარებამ შექმნა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველი (და, ასევე, 1.41.5 ქვესტანდარტის თანდართული რეკომენდაციები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების/კომპონენტის სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- სწავლის შედეგები აღწერდეს იმ ცოდნას, უნარებს, და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2. პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერნატიულ შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“, რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიდგომები. დოკუმენტი დეტალურად აღწერს პროგრამის სწავლის

შედეგების ჩამოყალიბების, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის შედგენის, კურიკულუმის რუკის ჩამოყალიბების და მისი ანალიზის, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებისა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენის, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სარეკომენდაციო მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტიტუციურ მიდგომებზე დაყრდნობით, პროგრამის სწავლის შედეგები მრავალმხრივ არის გაანალიზებული. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია:

- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელზეც აღნიშნულია, თუ რომელი სწავლის შედეგი რა დონეზე ღრმავდება სასწავლო კურსების გავლის შედეგად (თითოეული შედეგი ღრმავდება სამ დონეზე);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელზეც აღნიშნულია, თუ რა მეთოდით ხდება ამა თუ იმ სწავლის შედეგის შეფასება;
- სწავლებისა და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა.

კურიკულუმის ანალიზსა და რუკაზე დაფუძნებით შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, შეფასების პერიოდი და სამიზნე ნიშნულები. პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირ მეთოდებად განსაზღვრულია სტუდენტთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, დამსაქმებელთა გამოკითხვა და სხვ. რაც შეეხება პირდაპირ მეთოდებს, როგორც აღინიშნა, შერჩეულია კონკრეტული პირდაპირი მეთოდები (მაგ. პრეზენტაცია, პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი). სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისთვის გამოიყენება გაუსის ნორმალური განაწილება და ასევე, განსაზღვრულია ნორმალური განაწილებიდან გადახრის მაჩვენებელი, რის შედეგადაც, შესაძლებელია დაიგეგმოს სწავლის შედეგებისა და მისი მიღწევის გზების გადახედვა. ბაკალავრიატის საფეხურზე ხდება სწავლის შედეგების 3 წლიან დინამიკაზე დაკვირვება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სწავლის სფეროს და საფეხურის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, სწავლის შედეგებისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები.

იქიდან გამომდინარე, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, მისი სწავლის შედეგების შეფასება არ განხორციელებულა. თუმცა, დაწესებულებას უკვე აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გამოცდილება სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის, რომლის შეფასების ანგარიშიც მან წარმოადგინა მტკიცებულებად. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოყენებული იქნა პირდაპირი შეფასების მეთოდების შედეგების ანალიზი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები და განსაზღვრულ იქნა რეკომენდაციები სწავლება-სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის.

ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და იღებს სათანადო მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის. გარდა შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტისა, რომელიც, როგორც აღინიშნა, საკმაოდ დეტალური და მკაფიოა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პერსონალის შესაბამის გადამზადებას, მათ შორის ალტერნატივის ტრენინგ-ცენტრისა და ინოვაციური განათლების ცენტრის ბაზაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- სწავლებისა და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ალტერნატიულ მოქმედი დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით“. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს ანუ 8 სემესტრს. 240 კრედიტიანი პროგრამა აგებულია შემდეგი კომპონენტებით: (ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები -- 162 კრედიტი (მათ შორის, 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომისთვის), (ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები -- 24 კრედიტი, (გ) თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე) – 42 კრედიტი და (დ) თავისუფალი კომპონენტი -- 12 კრედიტი, რომლის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია სასწავლო კურსები აირჩიოს სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებადი ნებისმიერი მომიჯნავე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან.

პროგრამაში შემავალი სავალდებულო და არჩევითი კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურად არის დალაგებული. უფრო კონკრეტულად, სტუდენტს ჯერ შეეთავაზება ის საბაზისო კურსები, რომლებიც ფუნდამენტურ ცოდნას აძლევენ მას ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების შესახებ, მაგალითად, ფსიქოლოგიის საფუძვლები, კოგნიტური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია; თუმცა ამ ჩამონათვალში არ გვხვდება ისეთი საბაზისო კურსები, როგორებიცაა ექსპერიმენტული ფსიქოლოგია და შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია. ექსპერიმენტული ფსიქოლოგია

კვლევის კომპეტენციების განვითარებისთვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, ხოლო შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის საბაზისო კურსის არარსებობა სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვნად ზღუდავს ისეთი ვიწროდ სპეციფიკური, არჩევითი კურსების შეთავაზების საშუალებას, რომლის წინაპირობასაც აღნიშნული კურსი წარმოადგენს, მაგალითად, რეკლამის ფსიქოლოგია, ადამიანური რესურსების მართვა და სხვა (და ეს იმ პირობებში, როდესაც პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციების ჩამონათვალში სწორედ ამ პროფილის ობიექტები არიან წარმოდგენილნი, კლინიკური დაწესებულებების გარდა. იხ. 2.2 ქვესტანდარტი და შესაბამისი რეკომენდაცია).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო კურსების ერთობლიობა, მეტწილად გადის პროგრამაში დეკლარირებულ სწავლის შედეგებზე, თუმცა, ერთი მხრივ, სავალდებულო კურსების ჩამონათვალში ზოგიერთი კურსის არარსებობა (იხ. ზემოთ) და, მეორე მხრივ, ზოგიერთი სავალდებულო კურსის როგორც სტატუსი (იხ. ქვემოთ), ისე -- შინაარსი (იხ. 1.5 ქვესტანდარტის აღწერა და შესაბამისი რეკომენდაციები) კითხვის ნიშნებს ბადებს, რაც, თავის მხრივ, პროგრამის სტრუქტურაში, მისი ოპტიმიზაციის მიზნით, გარკვეული ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობაზე მიგვითითებს, რათა სრულად იქნეს მიღწეული პროგრამის დეკლარირებული სწავლის შედეგები. უფრო კონკრეტულად, პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში არის წარმოდგენილი ისეთი კურსები, როგორებიცაა „პათოფსიქოლოგია“, „ნეიროფსიქოლოგია“, „ბავშვთა ფსიქოლოგია“, „ფსიქოკონსულტაციის და ფსიქოთერაპიის საფუძვლები“ და „განათლების ფსიქოლოგია“, რომლებიც ვიწრო სპეციალიზაციის, ჩადრმავებულ კურსებს წარმოადგენენ და არასავალდებულო ხასიათს ატარებენ ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის. აღნიშნული კურსები ისეთივე ვიწრო სპეციფიკის და დონის კურსებია, როგორიცაა, ვთქვათ, არჩევითი კურსების ჩამონათვალში შეტანილი „შესავალი იურიდიულ ფსიქოლოგიაში“, „კომუნიკაციის ფსიქოლოგია“ ანდა „პოლიტიკური ფსიქოლოგია“. ფაქტობრივად, გაურკვეველია, რა პრინციპზე დაყრდნობით გადაწყდა ზოგიერთი კურსის სავალდებულო საგნების ჩამონათვალში შეტანა და ზოგიერთის -- არჩევითის იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სპეციფიკური კურსების სწავლის შედეგები არ ქმნიან ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის აუცილებელი და საკმარისი სწავლის შედეგების ერთობლიობას. აღნიშნულმა შექმნა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველი.

ამასთან, პროგრამაში შეთავაზებული სავალდებულო და არჩევითი კურსების დიდი ნაწილი კლინიკურ სფეროს განეკუთვნება და მთლიანობაში პროგრამა, ფაქტობრივად, კლინიკური მიმართულებით დაინტერესებულ სტუდენტებზე უფროა მორგებული, ვიდრე სტუდენტისთვის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებებით ბაზისური ცოდნისა და კომპეტენციების გამომუშავებაზე, რაც უნდა გააჩნდეს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულს.

აღნიშნული სტრუქტურა, წარმოდგენილი სახით როგორც მასში შემავალი კომპონენტების, ისე კურსების სტატუსისა და შინაარსის თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად შეესაბამება ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის მოთხოვნილ კრიტერიუმებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს მასში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა 1.4, 1.5 და 2.2 ქვესტანდარტების შესაბამის სექციებში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების პირობებში ის შესაბამისობაში მოვა და სრულად დააკმაყოფილებს მინისტრის ბრძანების (N69/6) მოთხოვნებს.

ამრიგად, რომ შევაჯამოთ, წარმოდგენილი პროგრამა, ერთი მხრივ, საკმაოდ კარგად არის ორგანიზებული ზოგადი სტრუქტურის თვალსაზრისით: მოიცავს ყველა მსხვილ კომპონენტს (ესენია: სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი კურსები, თავისუფალი კრედიტები), რომელიც უნდა იყოს მოცემული ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში, თუმცა მასში ამჟამად (ა) არ არის ზოგიერთი მდგენელი, მაგალითად, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია და (ბ) წარმოდგენილი ზოგიერთი კურსის შინაარსი და სტატუსი მოდიფიცირებას საჭიროებს.

გარდა ამისა, პროგრამაში სავალდებულო კურსის სახით არის წარმოდგენილი კურსი „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში“ (4 ECTS), რომელიც, ფაქტობრივად, ორი დამოუკიდებელი კურსის – სტატისტიკის და SPSS-ის – სინთეზს წარმოადგენს. კურსის ამგვარი ფორმატი და მოცულობა არასაკმარისია ფსიქოლოგიის ბაკალავრისთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებისთვის და არც სირთულის დონე შეესაბამება უმაღლესი განათლების სწავლების პირველ საფეხურს. აქ იგულისხმება არა კურსის ფარგლებში განხილული ცალკეული საკითხები, არამედ ამ საკითხების მრავალფეროვნება და მიწოდების ინტენსივობა ოთხკრედიტიანი სინთეზირებული კურსის ფარგლებში.

სწორედ აღნიშნული ვითარება გახდა ქვემოთ (და 1.5 ქვესტანდარტის შესაბამის სექციაში) წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველი.

პროგრამაში შეტანილი თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც განთავსებულია უსდ-ის შიდა მოხმარების ელექტრონულ სისტემაში. სისტემავე უზრუნველყოფს კურსების არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების გათვალისწინებით. დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის განსზღვრული კურსთა უმრავლესობისთვის, თუმცა გვხვდება ზოგიერთი გამონაკლისი. მაგალითად, კურსს „პიროვნების ფსიქოლოგია 1“ წინაპირობად „სოციალური ფსიქოლოგია 1“ აქვს მითითებული, თუმცა ეს ორივე კურსი საბაზისო, პირველი დონის კურსებს წარმოადგენენ და, როგორც წესი, წინაპირობების გარეშე შეეთავაზება სტუდენტს და თავად წარმოადგენენ სხვა კურსების წინაპირობებს. ასევე, თვისებრივი კვლევის მეთოდების კურსს წინაპირობად რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსი უდევს მაშინ, როცა ეს ორი კურსიც თანაბარი დონის კურსებს წარმოადგენენ (მეტი დეტალისთვის იხ. რეკომენდაციების ნაწილი).

აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს უფრო ზოგადი, ბაზისური კურსების მიწოდებას (მაგალითად, ფსიქოლოგიის საფუძვლები, სოციალური ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია), რომლებზეც შემდეგ დაამუშავებს სტუდენტი უფრო სპეციფიკურ ცოდნას ისეთი კურსების ფარგლებში, როგორებიცაა პათოფსიქოლოგია, კომუნიკაციის ფსიქოლოგია ან შესავალი იურიდიულ ფსიქოლოგიაში). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა აგებულია პრინციპით ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისკენ, რაც სტუდენტს, ყოველი შემდეგი კურსის არჩევით, საშუალებას აძლევს, ეტაპობრივად, თანდათანობით გაიფართოვოს და, ამავდროულად, გაიდრმავოს ცოდნა ფსიქოლოგიის მიმართულებით; თუმცა, არჩევითი კურსების შემთხვევაშიც აღინიშნოს, რომ სტუდენტისთვის შეთავაზებული არჩევითი კურსების ნახევარი კლინიკურ სფეროს განეკუთვნება (10 კურსი 20-დან), რამაც ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველი შექმნა.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსი მეტ-ნაკლებად (იხ. 1.5 ქვესტანდარტის რეკომენდაციების შესაბამისი ნაწილი ლიტერატურასთან დაკავშირებით) ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. კერძოდ, მხოლოდ ზოგიერთი კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ეყრდნობა დარგში არსებულ ახალ კვლევებსა და წყაროებს.

წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის პროგრამის აღწერიდან, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხში წინამდებარე ქვესტანდარტის შესაბამის პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ექვსი კურსიდან („პათოფსიქოლოგია“, „ნეიროფსიქოლოგია“, „ბავშვთა ფსიქოლოგია“, „ფსიქოკონსულტაციის და ფსიქოთერაპიის საფუძვლები“ და „განათლების ფსიქოლოგია“), რომელთა სავალდებულოდ არჩევითი კურსების ჩამონათვალში გადატანა იყო რეკომენდებული, დაწესებულება თვლის, რომ ორი კურსი („ბავშვთა ფსიქოლოგია“ და „ფსიქოკონსულტაციის და ფსიქოთერაპიის საფუძვლები“) უნდა დარჩეს სავალდებულო საგნების ჩამონათვალში. რაც შეეხება დანარჩენ ოთხ კურსს, არგუმენტირებულ პასუხში ნათქვამია, რომ ისინი უკვე გადატანილ იქნა სავალდებულო კურსების სიაში. ექსპერტთა ჯგუფისთვის მისაღებია დაწესებულების პოზიცია.

ამრიგად, წინამდებარე ქვესტანდარტის შესაბამის როგორც პირველ, ისე – დანარჩენ რეკომენდაციებთან მიმართებით, დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში ნათქვამია, რომ უსდ-სთვის მისაღებია ისინი და უკვე გათვალისწინებულ იქნა. ვინაიდან ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ევალება, არგუმენტირებულ პასუხთან ერთად, დამატებითი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა განხორციელებული ცვლილებების შესახებ, პირველი რეკომენდაცია რეფორმულირდა (იხ. ქვემოთ რეკომენდაციების ნაწილი), ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები დარჩა უცვლელი და განხორციელებული ცვლილებების შესახებ ანგარიშს (შესაბამისი დოკუმენტაციითურთ) დაწესებულება შესაბამის ეტაპზე წარმოადგენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები;
- კურისკულუმის რუკა;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურის უფროსთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- სასწავლო კურსები – „პათოფსიქოლოგია“, „ნეიროფსიქოლოგია“ და „ბავშვთა ფსიქოლოგია“, – გადატანილ იქნეს არჩევით კურსების ჩამონათვალში.
- საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალს დაემატოს (ა) შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია და (ბ) ექსპერიმენტული ფსიქოლოგია.
- ცალ-ცალკე სავალდებულო კურსის სახით შეეთავაზოთ სტუდენტებს სტატისტიკა (ერთ ან ორნაწილიანი კურსი) და სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისთვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის (მაგალითად, SPSS-ის) სწავლებაზე მიმართული კურსი.
- გამრავალფეროვნდეს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალი და გაიზარდოს ისეთი სპეციფიკური კურსების რაოდენობა, რომლებიც არ განეკუთვნებიან კლინიკურ სფეროს, მაგალითად, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებით;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების „პიროვნების ფსიქოლოგია 1“ და „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ წინაპირობები და წინაპირობის გრაფაში მიეთითოს „წინაპირობის გარეშე“.

ჩრევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მეტ-ნაკლებად, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგებზე გადის ესა თუ ის მოღვაწე და თითოეულ მოღვაწეში შემავალი ცალკეული კურსი.

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დამაკმაყოფილებლად აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

წარმოდგენილი პროგრამა, მოცემული სახით, ფაქტობრივად, მოიცავს თითქმის ყველა იმ კურსს, რომელიც სავალდებულოა თანამედროვე რეალობაში ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხისთვის, მათ შორის, ფსიქოლოგიის საფუძვლები 1 და 2, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, პიროვნების ფსიქოლოგია 1 და 2, განვითარების ფსიქოლოგია 1 და 2, კოგნიტური ფსიქოლოგია 1 და 2, სოციალური ფსიქოლოგია 1 და 2, ფსიქოდიაგნოსტიკა, ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები, სტატისტიკა და საბაკალავრო ნაშრომი, თუმცა სავალდებულო კურსების ბლოკში არ არის წარმოდგენილი ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია და სტატისტიკის დამოუკიდებელი კურსი (იხ. 1.4 ქვესტანდარტის აღწერა და შესაბამისი რეკომენდაციები).

ასევე, ზოგიერთი კურსის სილაბუსი აჩვენებს, რომ შინაარსი და სწავლის შედეგები ნაკლებად ეყრდნობა ფსიქოლოგიის თანამედროვე ტენდენციებს, უახლეს კვლევებსა და წყაროებს. ასევე, პროგრამის კურსების ნაწილი, მეტ-ნაკლებად მოიცავს პროფესიული ეთიკის, აკადემიური პატიოსნების საკითხებს, რაც თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. რაც შეეხება არჩევითი კურსების ჩამონათვალს (20 სასწავლო კურსი), ნახევარი კლინიკურ სფეროს განეკუთვნება, მეორე ნახევარი კი მრავალფეროვანია და სტუდენტს საშუალებას აძლევს, უფრო სიღრმისეულად გაეცნოს ფსიქოლოგიის ზოგიერთი ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებას (მაგალითად, ფსიქონალიზის შესავალი, სამხედრო ფსიქოლოგია და პოლიტიკური ფსიქოლოგია).

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას კურსების უმრავლესობაში (გამონაკლისს წარმოადგენს, მაგალითად, კურსი „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში“, იხ. 1.4 ქვესტანდარტის აღწერა და შესაბამისი რეკომენდაცია) გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი.

კურსების შინაარსთან დაკავშირებით რამდენიმე გარემოება უნდა აღინიშნოს: ზოგიერთი კურსის შინაარსი არ შეესაბამება კურსის დასახელებას, ზოგიერთი კურსის შინაარსი კი – საგანმანათლებლო პროგრამას; ასევე, გადასახედია ზოგიერთი კურსის შინაარსი სათაურთან, მიზნებთან და შინაარსთან მიმართებით (დეტალურად იხ. ქვემოთ, რეკომენდაციების სექციაში).

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროგრამის სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები.

კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა, თუმცა ზოგიერთი კურსის სილაბუსში წარმოდგენილი წყაროები გადასინჯვასა და განახლებას საჭიროებს (იხ. ქვემოთ, რეკომენდაციების სექცია). კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის

სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე ხელმისაწვდომობას, თუმცა, როგორც სტუდენტებთან ინტერვიუებიდან გაირკვა, ისინი ძალიან იშვიათად (ან საერთოდ არ) მოიხმარენ აღნიშნულ წყაროებს.

ყოველივე ზემოთ თქმულმა შექმნა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების საფუძველი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის თანახმად, ვიზიტის მსვლელობის პროცესშივე წარმოდგენილი იქნა გამოსწორებული ხარვეზი, რომელიც შეეხებოდა პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსებს. აღნიშნული მისაღებია ექსპერტთა ჯგუფისთვის. რაც შეეხება „კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ სილაბუსს, არგუმენტირებულ პასუხში ნათქვამია, რომ დანართის სახით წარმოადგინა უსდ-მ განახლებული სილაბუსი, თუმცა ამ ვინაიდან ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ევალუა ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, აღნიშნული სილაბუსი არ მისულა ექსპერტთა ჯგუფამდე. აქედან გამომდინარე, შესაბამისი რეკომენდაცია მოდიფიცირდა (იხ. ქვემოთ, რეკომენდაციების ნაწილი)

რაც შეეხება სავალდებულო სასწავლო კურსის „ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები“ და „არჩევითი კურსის „ნეიროფიზიოლოგია სოციალურ მეცნიერებებში“ შინაარსების თანხვედრას, არგუმენტირებული პასუხის თანახმად, გადაისინჯა და განახლდა ამ უკანასკნელის შინაარსი, თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ევალუა ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ამიტომ რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

არგუმენტირებულია დაწესებულების პოზიცია „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სავალდებულო კურსის შინაარსის ნაწილობრივ თანხვედრასთან დაკავშირებით, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ეს კურსები სავალდებულო კურსებია, შინაარსის თანხვედრა (განურჩევლად იმისა, რამდენად განსხვავებულია საკითხავი მასალა), არ არის მიზანშეწონილი. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

რეკომენდაცია კურსების „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ თაობაზე და, ასევე, რეკომენდაცია კურსის „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში“ შესახებ, მისაღებია დაწესებულებისთვის და დაწყებულია მუშაობა მისი განხორციელებისთვის. შესაბამისად, ეს რეკომენდაციები რჩება უცვლელი.

ასევე, უცვლელი რჩება საკითხავ ლიტერატურასთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რომლის შესრულებაზე მუშაობაც, არგუმენტირებული პასუხის მიხედვით, დაწესებულებამ უკვე დაიწყო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- **სასწავლო კურსების შინაარსი.** წარმოდგენილ პროგრამაში ამჟამად შეთავაზებული ზოგიერთი კურსი (ასევე, იხ. 1.4 ქვესტანდარტის შესატყვისი რეკომენდაციები) შინაარსობრივი თვალსაზრისით საჭიროებს მოდიფიცირებას/განახლებას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ბაზისური, სავალდებულო კურსების შემთხვევაში, როგორებიცაა „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“, „თვისებრივი კვლევის მეთოდები“, „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში“, „პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი“; ასევე, ისეთი არჩევითი კურსების შემთხვევაში, როგორებიცაა „კლინიკური ფსიქოლოგია“, „კომუნიკაციის ფსიქოლოგია“ და „ნეიროფიზიოლოგია სოციალურ მეცნიერებებში“. უფრო კონკრეტულად:

- ზოგიერთი კურსის სილაბუსის სახელწოდება და შინაარსი არ შეესაბამება ერთმანეთს, კერძოდ:
 - სილაბუსში სახელწოდებით „კომუნიკაციის ფსიქოლოგია“ მთლიანად „კოგნიტიური ფსიქოლოგიის“ შინაარსია წარმოდგენილი, როგორც განსახილველი თემების, ისე -- სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის თვალსაზრისით;

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია დასახელებული კურსის სახელწოდებებისა და შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

- ზოგიერთი კურსის შინაარსი მთლიანად ან ნაწილობრივ თანხვდება სხვა კურსის შინაარსს, კერძოდ:
 - არჩევითი სასწავლო კურსი „ნეიროფიზიოლოგია სოციალურ მეცნიერებებში“, ფაქტობრივად, სავალდებულო სასწავლო კურსის „ქცევის ბიოლოგიური საფუძვლების“ დუბლირებას წარმოადგენს;
 - სავალდებულო სასწავლო კურსი „კლინიკური ფსიქოლოგია“ ფარავს „პათოფსიქოლოგიის“, „ფსიქონალიზის შესავლის“, „ფსიქოდიანოსტიკის საფუძვლების“, „განვითარების ფსიქოლოგიის“ და „ფსიქოკონსულტაციის და ფსიქოთერაპიის საფუძვლების“ საკითხებს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია დასახელებული კურსების სასწავლო გეგმიდან ამოღება, ან მათი შინაარსის იმგვარად მოდიფიცირება, რომ (მთლიანად ან ნაწილობრივ) არ იმეორებდეს სხვა სასწავლო კურსის შინაარსს.

- კურსები „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ სავალდებულო საბაზო კურსებს წარმოადგენენ სტუდენტებისთვის კვლევის კომპეტენციების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მეცნიერებების ფარგლებში გამოყენებული კვლევის მეთოდები მეტ-ნაკლებად შეიძლება თანხვდებოდეს ერთმანეთს, ფსიქოლოგიისთვის სპეციფიკური და მორგებული მეთოდები განსხვავდება, მაგალითად, სოციოლოგიაში, პოლიტიკურ მეცნიერებასა თუ ჟურნალისტიკაში გამოყენებული კვლევის მეთოდებისგან. შესაბამისად, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს სწორედ ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები უნდა შეეთავაზოთ.

ეს ორი კურსი წარმოდგენილ პროგრამაში მართებული მოცულობით (თითო 6 კრედიტი) და დროულად (სწავლების III და IV სემესტრი) მიეწოდებათ, თუმცა სილაბუსების შინაარსისა და საკითხავი ლიტერატურის შესწავლა აჩვენებს, რომ სტუდენტები, ფაქტობრივად, სოციოლოგიის კვლევის მეთოდებს სწავლობენ (ასევე, იხ. 4.1 ქვესტანდარტის აღწერა და შესაბამისი რეკომენდაცია).

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსების „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“ და „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ შინაარსი და საკითხავი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან.

- „სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში“ ერთსემესტრიანი სავალდებულო კურსია, რომელიც, ფაქტობრივად (ასევე, იხ. 1.4 ქვესტანდარტის აღწერა და შესაბამისი რეკომენდაცია), ორი კურსის – სტატისტიკისა და SPSS-ის – სინთეზს წარმოადგენს. ერთსემესტრიანი კურსის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელია ბაკალავრიატის სტუდენტებმა ერთდროულად აითვისონ ეს ორი კურსი, განსაკუთრებით სტატისტიკა, რომელიც ყოველთვის გამოწვევას წარმოადგენს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის (განურჩევლად პროგრამისა და უსდ-ისა).

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია კურსის „სტატისტიკის მეთოდები ფსიქოლოგიაში“ ორ ცალკეულ კურსად გაყოფა, რომელთაგან ერთი სავალდებულო (ერთ ან ორ სემესტრიანი) კურსი იქნება და საკუთრივ სტატისტიკის სწავლებას უზრუნველყოფს, ხოლო მეორე – საკუთრივ SPSS-ის გამოყენებას ასწავლის სტუდენტებს და პროგრამის განმახორციელებლების სურვილისამებრ, სავალდებულო ან არჩევითი კურსების ჩამონათვალში იქნება შეთავაზებული.

- **საკითხავი ლიტერატურა**

- წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსების სავალდებულო საკითხავ ლიტერატურასთან დაკავშირებით სამი საკითხი იკვეთება:
 - ზოგიერთი წყარო მოძველებული და არარელევანტურია, მაგალითად, კურსში „ფსიქოლოგიური ტრავმა და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები“ სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია 2000, 2008 და 2009 წლებში გამოცემული წიგნები; კურსში „პათოფსიქოლოგია“ ერთ-ერთ სავალდებულო ლიტერატურად („რიდერთან“ ერთად) მითითებულია ოქსფორდის მოკლე სახელმძღვანელო ფსიქიატრიაში (2012). ეს სახელმძღვანელო 2012 წელს არის გამოცემული და რიდერიც 2010 წლით თარიღდება, რაც ნიშნავს იმას, რომ ორივე წყარო მოძველებულ საკლასიფიკაციო სისტემაზეა აწყობილი (DSM-IV და IDC-10) მაშინ, როცა უკვე რამდენიმე წელია ორივე საკლასიფიკაციო სისტემის ახალი გამოცემები გამოიყენება;
 - ზოგიერთ სილაბუსში წყარო არასრულად არის მითითებული ისე, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლებელია მისი იდენტიფიცირება;
 - რიგ კურსებში, მაგალითად, „პათოფსიქოლოგია“, „ნეიროფსიქოლოგია“, „ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები“, „შესავალი სექსოლოგიაში“, „სამხედრო ფსიქოლოგია“, მითითებულია „ლექტორის მიერ მომზადებული მასალა“ ან „რიდერი“, რაც ბუნდოვან წარმოდგენას ქმნის საკითხავი მასალის შინაარსზე. აღნიშნული საკითხები პროგრამისთვის გამოწვევას წარმოადგენს, რადგან კითხვის ნიშანს აჩენს პროგრამის (და ამა თუ იმ კონკრეტული კურსის) სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია გადაისინჯოს პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ კურსებში შეთავაზებული სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა და საჭიროების შემთხვევაში ჩანაცვლდეს რელევანტური და შედარებით ახალი, თანამედროვე ცოდნისა და დარგის უახლესი მიღწევების ამსახველი წყაროებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთავსებულია ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი და რომელიც, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას აღნიშნულ პროგრამაზე და გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას სასწავლო უნივერსიტეტში.

გარდა ამისა, პროგრამაზე ჩარიცხვა დასაშვებია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით: (ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; (ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; (გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; (დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მსურველი პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ატარებს გასაუბრებას და უზრუნველყოფს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის საქართველოს განათლების, მეცნიერების სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობას.

და ბოლოს, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია შიდა მობილობის ან მობილობის წესით, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ (შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრში), მოქმედი კანონმდებლობის და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების დაცვის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უსდ-ის ვებგვერდი;

- ხარისხის სამსახურის უფროსთან და უსდ-ის ადმინისტრაციასთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების და საფეხურის შესაბამისად, სტუდენტის **კვლევითი უნარების** განვითარებას ისეთი სავალდებულო კურსების ფარგლებში, როგორებიცაა რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, თვისებრივი კვლევის მეთოდები, სტატისტიკური მეთოდები ფსიქოლოგიაში და საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტის მოცულობით). თუმცა, აღსანიშნავია, რომ (ა) რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და თვისებრივი კვლევის მეთოდები, შინაარსობრივი თვალსაზრისით, სოციოლოგიის სფეროსთან მეტად არის შესაბამისობაში, ვიდრე ფსიქოლოგიასთან, ხოლო კვლევით უნარების კომპეტენციის განმავითარებელი ერთ-ერთი ბაზისური კურსი „ექსპერიმენტული ფსიქოლოგია“ არ იძებნება პროგრამის სასწავლო გეგმაში (იხ. 1.5 ქვესტანდარტის აღწერა და შესაბამისი რეკომენდაციები).

სასწავლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საბაკალავრო ნაშრომის დაცვის ინსტრუქცია“, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/რეცენზენტის უფლება-მოვალეობები, საბაკალავრო ნაშრომის /პროექტის ხელმძღვანელის და ნაშრომის / პროექტის შერჩევისა და დამტკიცების წესი , საბაკალავრო ნაშრომის შეფასება, საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის გაფორმების წესი. ასევე, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში აღწერილია სასწავლო კურსის მიზნები, შედეგები, შეფასების კრიტერიუმები. თუმცა, საბაკალავრო ნაშრომის წარმოდგენილ სილაბუსში კურსის მოცულობად მითითებულია 20 კრედიტი, ხოლო ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში -- 10 კრედიტი, რაც ქვემოთ მოცემული რჩევის საფუძველი გახდა.

რაც შეეხება **პრაქტიკის კომპონენტს**, უსდ-ში შემუშავებულია დოკუმენტი „პრაქტიკის დებულება“, რომელიც არეგულირებს პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების საკითხებს და შეფასების პროცედურებს. პრაქტიკის მიზანია, სტუდენტმა შეიძინოს პრაქტიკული გამოცდილება და ცოდნა ფსიქოლოგიის მიმართულებით. ასევე, სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა, უშუალოდ გაეცნოს პრაქტიკის ობიექტს (ორგანიზაციას, დაწესებულებას), განიმტკიცოს და გაიფართოვოს აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნა და გამოიმუშაოს შესაბამისი უნარ-ჩვევები. პრაქტიკის კურსის სილაბუსის თანახმად, პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობს პროგრამის განმანათლებლებელი პერსონალიდან სფეროს კვალიფიციური პირი და პრაქტიკის ობიექტიდან შერჩეული მენტორი. პრაქტიკის კურსის სილაბუსში დეტალურად არის აღწერილი პრაქტიკის ფარგლებში შესრულებული აქტივობების შეფასების წესი და კრიტერიუმები. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ალტერნატიულ პრაქტიკის ობიექტებთან,

დამსაქმებლებთან (შპს ეიჩარ ჰაბი, შპს „ეიჩარ პროფესიონალთა გილდია“, „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი მწვანე სახლი“, „საქართველოს პოზიტიური ფსიქოლოგიის ასოციაცია“, „ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი“, „სტრესის მართვისა და მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი“, „ნანა ჩაჩუას ფსიქოლოგიური ცენტრი“) გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/მემორანდუმები, რომლებიც ითვალისწინებს როგორც პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანს, შედეგს და ხანგრძლივობას. პრაქტიკის ობიექტებთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებათა/ორგანიზაციათა დიდი ნაწილი კლინიკურ გარემოს სთავაზობს სტუდენტებს, რაც შეესაბამება პროგრამის შინაარსს, თუმცა ნაკლებად უზრუნველყოფს (შინაარსთან ერთად, ასევე. იხ. 1.41.5 ქვესტანდარტის აღწერა და შესაბამისი რეკომენდაციები) მრავალფეროვანი პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობას. გარდა ამისა, პრაქტიკის ობიექტებად წარმოდგენილია ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა შპს ეიჩარ ჰაბი და შპს „ეიჩარ პროფესიონალთა გილდია“, თუმცა პროგრამის შინაარსი არ იძლევა აღნიშნულ ორგანიზაციებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის საჭირო მინიმალურ კომპეტენციას (თეორიული ცოდნის თვალსაზრისითაც კი, იხ. 1.41.5 ქვესტანდარტის აღწერა და შესაბამისი რეკომენდაციები).

გარდა ამისა, უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის სილაბუსი არ შეესატყვისება ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, ვინაიდან ის მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამისთვის არის განკუთვნილი, რაც ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველი გახდა.

კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად, სასწავლო უნივერსიტეტში ტარდება პრაქტიკული-სამეცნიერო კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ როგორც ალტერბრიჯის, ისე სხვა ინსტიტუციების წარმომადგენლები.

რაც შეეხება **ტრანსფერულ უნარებს**, პროგრამაში შემავალ პრაქტიკულად ყველა კურსს, საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, თავისი წვლილი შეაქვს მათ განვითარებაში.

წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის მიხედვით, დაწესებულებისთვის მისაღებია ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები და დაწყებული აქვთ მსჯელობა და მოსამზადებელი სამუშაოები მათ გასათვალისწინებლად. შესაბამისად, რეკომენდაციები რჩება უცვლელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა და სასწავლო გეგმა;
- სწავლის შედეგების რუკები;
- სილაბუსები;
- საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია;
- პრაქტიკის დებულება;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/ მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- საგანმანათლებლო პროგრამაში გაძლიერდეს კვლევითი უნარების გამომუშავებაზე მიმართული კომპონენტები, რაც გულისხმობს იმას, რომ (ა) არსებული კურსების შინაარსი მეტ შესაბამისობაში მოვიდეს ფსიქოლოგიის დარგის სპეციფიკასთან და (ბ) პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სავალდებულო კურსები სრულად უზრუნველყოფდეს ფსიქოლოგიის კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულისთვის აუცილებელ კვლევით კომპეტენციებს (დეტალებისთვის იხ. 1.4 და 1.5 ქვესტანდარტების აღწერა და შესაბამისი რეკომენდაციები)

- ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი იყოს დარგის შესაბამისი პრაქტიკის სილაბუსი როგორც მისი დასახელების, ისე შინაარსის, გაწერილი აქტივობებისა და შეფასების კრიტერიუმების თვალსაზრისით.
- პრაქტიკის განმასრვლებელი ორგანიზაციების შერჩევას (ა) გათვალისწინებულ იქნეს ფსიქოლოგიის დარგის მრავალფეროვნება და ფართო დიაპაზონი, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტს მიეცეს არაკლინიკური გარემოსგან განსხვავებული სამუშაო გარემოში ყოფნის გამოცდილების მიღების შესაძლებლობა და (ბ) პრაქტიკისთვის შერჩეული ორგანიზაციების საქმიანობის სფერო შესაბამისობაში იყოს პროგრამის შინაარსში შეთავაზებული ქვედარგებისა თუ მიმართულებების შინაარსთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში მითითებული კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული კრედიტების რაოდენობასთან. (20 კრედიტის ნაცვლად სილაბუსში უნდა იყოს 10 კრედიტი).

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, როგორცაა ლექცია, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია, დისკუსია/დებატები, პრაქტიკული მეთოდები, პრეზენტაცია, როლური და სიტუაციური თამაშები, სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, შემთხვევის ანალიზი (Case study), წერილობითი დავალება (ქვიზი), წიგნზე მუშაობის მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, ელექტრონული სწავლება (E-learning), გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში (Brain storming), კონტინუუმი (მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენების ერთობლიობა), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL). პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის/საგნის სწავლება სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს და სტუდენტის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა.

საჭიროების შემთხვევაში, უსდ უზრუნველყოფს ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას პროგრამის სწავლის სფეროსათვის რელევანტური სწავლების მეთოდებით, რომლებიც არ იწვევს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლილებას. დაწესებულებაში არსებობს დოკუმენტი „ელექტრონული სწავლების წესი“, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ელექტრონულ/დისტანციური სწავლების დროს სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სილაბუსები;
- სწავლის მეთოდებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა;
- ელექტრონული სწავლების წესი;
- პროგრამის განხორციელებისთვის უსდ-ში არსებული ელექტრონული რესურსები;
- სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შეფასება ხორციელდება შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის „ალტერბრიჯი“ დადგენილი წესის მიხედვით. შეფასება შეესაბამება კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას. სწავლის შედეგების შეფასების სისტემის კომპონენტები მრავალფეროვანია. სტუდენტის შეფასება ხდება მრავალკომპონენტური სისტემით, ორი ფორმით -- შუალედური და დასკვნითი შეფასებით. მოცემული პროგრამის ფარგლებში შუალედური და დასკვნითი შეფასებების ხვედრითი წილი შეიძლება იყოს 70/30 ან 60/40.

შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი, კურსის საჭიროებებზე დაყრდნობით. დასკვნით გამოცდაზე გასვლას სტუდენტი შეძლებს იმ შემთხვევაში, თუ დაძლევა შუალედური შეფასების კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტთა შეფასება გამჭვირვალეა- ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ; იგი მოცემულია კურსის სილაბუსში და ამასთან ერთად, მას ლექტორები აცნობენ სტუდენტებს სწავლის დაწყებისას.

შეფასების სანდოობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სტუდენტს აქვს უფლება, გაასაჩივროს საკუთარი საგამოცდო ნაშრომი, რომლის განსახილველად და ხელახლა შესაფასებლად შეიქმნება კომისია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდამჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის მსვლელობისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის სამსახურის უფროსთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ. უსდ-ში არსებობს საკონსულტაციო მომსახურების პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესის როგორც შინაარსობრივი, ისე -- ორგანიზაციული ასპექტების შესახებ.

სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათ ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის შესაძლებლობა უნივერსიტეტში ჩაბარებამდე ჰქონდათ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა ფინანსური წახალისების მექანიზმი- ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სტიპენდიათა არსებობისა და მათი კრიტერიუმების შესახებ. სტუდენტთა კარიერული განვითარებისთვის ხდება მათი ჩართვა დარგის განვითარების ღონისძიებებსა და შესაბამისი თემატიკის ტრენინგებზე.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ინფორმირებას დამხმარე რესურსების შესახებ. სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზების შესახებ; კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ ისინი რეგულარულად იღებდნენ ინფორმაციას დასაქმების, სემინარების, პროექტების შესახებ.

ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ ტარდება გამოკითხვები აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესის შესახებ. აგრეთვე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, ხარისხის მართვის სამსახურთან განიხილონ აქტუალური საკითხები და დააფიქსირონ საკუთარი აზრი საუნივერსიტეტო პროცესების შესახებ. სტუდენტის სწავლის პროცესი მრავალფეროვანია- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში როგორც სტუდენტებმა, აგრეთვე კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს ინტერვიუს პროცესში, რომ მიეწოდებოდათ ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ; აგრეთვე, ფუნქციონირებს სტუდენტური წიგნის მოყვარულთა კლუბი, რომლის შესახებაც ინფორმაცია ვრცელდება რამდენიმე პლატფორმის მეშვეობით. ამასთან ერთად, პერიოდულად ტარდება ტრენინგები და მასტერკლასები, რომელთა თემატიკის შერჩევაში სტუდენტებსაც აქვთ ჩართვის შესაძლებლობა; ასევე, ჩატარდა სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციაც. ღონისძიებათა მრავალფეროვნებას განაპირობებს როგორც ჩატარებული საგანმანათლებლო აქტივობები, აგრეთვე სტუდენტთა სოციალიზაციისთვის განკუთვნილი წვეულებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ალტერბრიჯის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ერთის მხრივ, შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და, ასევე, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ წესებს.

წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 37 პირი, მათ შორის, 22 არის აკადემიური პერსონალი (აქედან დოქტორის ხარისხის მქონე 12 პირი, ხოლო პროფესიული ნიშნით შერჩეული -- 10) და 15 მოწვეული სპეციალისტი. ამრიგად, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობაა 22/15. პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა და სამიზნე ნიშნულები გაწერილია დოკუმენტში „აკადემიური

პერსონალისა და სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-მ გასულ წელს გამოაცხადა კონკურსი აკადემიური პოზიციების დასაკავებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისთვის და გაზარდა მასში ჩართული პერსონალის რაოდენობა.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალის კომპეტენცია დასტურდება მიღებული განათლებით, პედაგოგიური გამოცდილებით, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომებით, ასევე საერთაშორისო ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობით. როგორც უსდ-ის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, აკადემიურ პერსონალის უდიდეს ნაწილს გააჩნია შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი, ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი და შესაბამის დარგში რამდენიმეწლიანი მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და მისი წამკითხველი პერსონალის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია მეტ-ნაკლებ თანხვედრაშია ერთმანეთთან. ასე მაგალითად, ბავშვთა ფსიქოლოგიის კურსი მიჰყავს კონფლიქტების ანალიზისა და მართვის მაგისტრს, ჰათოფსიქოლოგია -- მედიცინის დოქტორს პედატირიაში, კოგნიტური ფსიქოლოგია -- მედიცინის დოქტორს, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში -- მედიკომუნიკაციის სოციოლოგიის მაგისტრს, ხოლო დარგობრივი ინგლისური ენა ფსიქოლოგებისთვის -- განათლების მეცნიერებათა დოქტორს. აღნიშნულმა ვითარებამ შექმნა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველი.

საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვის მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება ფსიქოლოგიის სფეროში შესაბამისი აკადემიური განათლებითა და პრაქტიკული გამოცდილებით, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იძებნება ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი, რომლის მიხედვითაც პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური/მოწვეული პერსონალით. ეს ვითარება ექსპერტთა დასკვნის პროექტშიც არის აღნიშნული და ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაცია არ შეეხება სათანადო პერსონალის დეფიციტის ამოვსებას. რეკომენდაცია კონკრეტულად მიემართება ზოგიერთი კურსის შინაარსისა და მისი წამკითხველის კვალიფიკაციის/გამოცდილების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას (იხ. მსჯელობა ზემოთ - დახრილი შრიფტით და შესაბამისი რეკომენდაცია ქვემოთ). შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის ავილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	22	13	7	10
- პროფესორი	7	1	1	6

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასოცირებული პროფესორი	10	8	3	4
- ასისტენტ-პროფესორი	5	4	3	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	15	10	3	-
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის სამსახურის უფროსთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

ერთი მხრივ, აკადემიური/მოწვეული პერსონალის კორპუსის კვალიფიკაციის/კომპეტენციებისა და, მეორე მხრივ, მათ მიერ წაკითხული კურსების თემატიკის/შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

**4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში შემუშავებულია „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“. შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი ციკლის მიხედვით. მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული და დანერგილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების მრავალმხრივი მექანიზმები, რაც მოიცავს მათი სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებას, კერძოდ, ლექტორის შეფასება სტუდენტის მიერ, კოლეგიური ურთიერთდასწრება, სასწავლო-პედაგოგიური კომპეტენციის შეფასება, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასება, აფილირებული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის თვითშეფასება. შეფასების შედეგები მუშავდება, ანალიზის შედეგად განისაზღვრება რეკომენდაციები და ხდება შესაბამისი რეაგირება.

ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება სასწავლო უნივერსიტეტში არსებული პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმების გამოყენებით სრულად არ განხორციელებულა, თუმცა დასტურდება ინსტიტუციური მიდგომა პერსონალის საქმიანობის პერიოდული შეფასების მიმართ.

პერსონალის განვითარების პროცესი ხორციელდება სამეცნიერო და პედაგოგიური მიმართულებით. სამეცნიერო მიმართულებით პერსონალის განვითარების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, ერთობლივ პროექტებს საერთაშორისო პარტნიორებთან, ასევე, იბეჭდება სამეცნიერო ჟურნალი. პედაგოგიური მიმართულებით პერსონალის განვითარების ღონისძიებების საფუძველია სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგები.

ალტერბრიჯის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სისტემატურად ტარდება ტრენინგები და სხვადასხვა განმავითარებელი ღონისძიებები, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებით და დაფინანსებით ახორციელებს „ალტერბრიჯის ტრენინგ-ცენტრი“ და „ინოვაციური განათლების ცენტრი“. მაგალითისთვის:

- „სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება ონლაინ სწავლების დროს“;
- „როგორ მოვამზადოთ საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციისთვის“;
- „კვლევის სწორად დაგეგმვა და განხორციელება“;
- „საგრანტო განაცხადის წერა - სტრატეგია და ტექნიკები“;
- „სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის: ინი.ჯი სისტემის ტრენინგი“;
- „აკადემიური კეთილსინდისიერება – პლატფორმა “ORIGINAL“-ის შესახებ ტრენინგი“;
- „აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის შესახებ ტრენინგი“.

ალტერბრიჯში დანერგილია დაწინაურებისა და წახალისების სისტემა, სასწავლო უნივერსიტეტი ასევე პერიოდულად ახორციელებს პერსონალის კმაყოფილების კვლევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;

- პერსონალის განვითარების ღონისძიებები;
- პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ხარისხის შეფასების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზის

უსდ-ის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ თანამედროვე დიზაინით აგებულ კეთილმოწყობილ შენობაში, რომელსაც გააჩნია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, კომპიუტერული ცენტრი, კაფეტერია და სხვა. არსებული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს ელექტრონული სასწავლო პლატფორმა ini.ge, სადაც ხდება სასწავლო კურსების მიხედვით სასწავლო მასალების ატვირთვა, ყოველკვირეული დავალებების შესრულება და გასწორება.

სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის, ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს, მოწვეულ თუ აკადემიურ პერსონალს შეუძლიათ ისარგებლოთ ინტერნეტით და საზოგადოებრივი ელექტრონული რესურსით, რომელიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი სფეროს თანამედროვე სამეცნიერო მონაცემებს, პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ბიბლიოთეკას აქვს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა.

- Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>)
- e-Duke Journals Scholarly Collection(<https://read.dukeupress.edu/>)
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books(<https://www.elgaronline.com/>)
- IMechE Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE>)
- Openedition Journals (<https://www.openedition.org/>)

- Royal Society Journals Collection(<https://royalsociety.org/journals/>)
- SAGE Journals(<https://journals.sagepub.com>)
- SAGE APCs for Open Access Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at-sage>)
- http://www.nplg.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1
- <http://dspace.nplg.gov.ge/>
- <http://www.library.court.ge/login.php?geo&authorisation>
- <http://lawlibrary.info/ge/>

სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ ისინი ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. საგანმანათლებლო პროცესში ელექტრონული/ დისტანციური სწავლა-სწავლების/შეფასების მეთოდების გამოყენებისას, უსდ ხელს უწყობს, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი და სტუდენტები უზრუნველყოფილები იყვნენ შესაბამისი რესურსებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ალტერბრიჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- <https://alterbridge.edu.ge/library/>
- ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიდრწევადა და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიდრწევადა და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა -- ბიუჯეტი მოიცავს როგორც არსებული ადამიანური რესურსების შრომის ანაზღაურების, ასევე პერსონალის კვალიფიკაციისა და კვლევითი პოტენციალის ასამაღლებელ ღონისძიებათა დაფინანსებას, მატერიალური და სასწავლო რესურსების

მართვის, მოვლის და განახლების ხარჯებს, ასევე მოთხოვნებს სასწავლო და ტექნიკური ლიტერატურის და აღჭურვილობის შესაძენად.

პროგრამაზე სტუდენტთა დაგეგმილზე ნაკლები ნაკადის მიღების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტი მზად არის, უზრუნველყოს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვა. ინტერვიუს მსვლელობისას, დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური სტაბილურობისა და საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტს გააჩნია საკრედიტო ხაზი, რომელსაც გამოიყენებს საჭიროების შემთხვევაში. ამასთან, ტრენინგების განხორციელებისგან მიღებულ შემოსავალს მოახმარს საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების

შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ალტერბრიჯის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი და სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების სილაბუსების განახლებისა და შემუშავების და თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობა თანამშრომლობითი პროცესი იყო და ითვალისწინებდა დაინტერესებული მხარეების პროცესში მონაწილეობას.

საანგარიშო პერიოდში, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით, პროგრამის გაუმჯობესებისა და თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესი, უმეტესწილად უკავშირდებოდა გარე ხარისხის შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციების შესრულებას, რაც, ბუნებრივია საგანმანათლებლო პროგრამის სიახლის და მისი განხორციელების (I სასწავლო სემესტრი) ვადის გათვალისწინებით.

ვიზიტის მომენტისთვის საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარებისთვის არ იყო სრულად გამოყენებული ალტერბრიჯში არსებული ხარისხის მექანიზმები, თუმცა, პროგრამის განვითარებისთვის პროგრამა შეაფასა გარე ექსპერტმა, განხორციელდა ბენჩმარკინგი; ასევე, მიმდინარეობდა სტუდენტთა გამოკითხვა (დეტალური ინფორმაცია არსებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ წარმოდგენილია 5.3 ქვესტანდარტის კომპონენტის აღწერაში). სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები და დამკვიდრებული პრაქტიკა, ასევე, ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გამოყენებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეყრდნობა „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“, ხარისხის შიდა შეფასების შედეგები კი გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის.

გარდა ამისა, ალტერბრიჯში შემუშავებულია დოკუმენტი „ელექტრონული სწავლების წესი“, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული სწავლების დაგეგმვასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და რეგულაციებს, ასევე მოიცავს ელექტრონული სწავლების პროცესის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის შიდა შეფასების შედეგების ანალიზი;
- ელექტრონული სწავლების წესი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შიდა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შიდა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შიდა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შიდა მოთხოვნებთან
------------	--------------------------------	---	---	--

5.1. შიდა ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
-----------------------------	-------------------------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეგულარულად გამოიყენება გარე ხარისხის შეფასების შედეგები. გარე ხარისხის შეფასება რეალიზდება როგორც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წარმოებული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში, ასევე, პროგრამის გარე შეფასებისთვის გამოიყენება გარე ექსპერტის შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები და პროგრამა აკრედიტაციაზე წარმოდგენილია განახლებული სახით. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა უცხოელმა კოლეგამ, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორმა, ამავე უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა. პროგრამის გარე შეფასების საფუძველზე, უცხოელ კოლეგას არ ჰქონია კონკრეტული რეკომენდაციები პროგრამის განვითარების მიზნით და მისი დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას რეკომენდაციას უწევს.

სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს კოლეგიური ურთიერთშეფასების და ლექცია-სემინარებზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, თუმცა, წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით ის ჯერ არ გამოყენებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება;
- გარე შეფასების დასკვნა;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ალტერბრიჯში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების ჩართულობით (ამ ეტაპზე პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები, თუმცა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა ჩართულობას ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში) ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით, შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე კი შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის ანდა შეფასების სისტემის მოდიფიცირება.

ალტერბრიჯში შემუშავებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შიდა მექანიზმი მოიცავს:

- საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდულ ანალიზს და მონიტორინგს;
- საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებისა და საჭიროებების ანალიზს;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრების, პროგრამის დასრულების მაჩვენებლისა და პროგრამიდან გადასვლის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს;
- სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების ეფექტურობის ანალიზსა და შეფასებას;
- საზოგადოებისა და შრომის ბაზრის ცვალებადი საჭიროებების ანალიზს.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით შემუშავებულია შემდეგი კითხვარები:

- სასწავლო კურსის/საგნის შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება (სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება (მოწვეული და აკადემიური პერსონალის მიერ);
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამების განვითარების მიზნით.
- დამსაქმებლის მოლოდინების კვლევა (ინტერვიუ);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გარეშე პირის მიერ (დარგის პროფესორი, ექსპერტი).

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ხდება პროგრამის დადარება ადგილობრივ და უცხოურ გამოცდილებასთან მიმართებით. პროგრამისთვის მომზადებულია ბენჩმარკინგის ანალიზის დოკუმენტი ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით საქართველოსა და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით; ასევე, როგორც აღინიშნა, პროგრამამ გაიარა გარე შეფასება, ამასთან, ალტერბრიჯმა პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების ეტაპზე განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა.

ყოველი სასწავლო კურსის დასასრულს, სტუდენტები აფასებენ აღნიშნულ კურსს, ელექტრონული გამოკითხვის მეშვეობით. ამჟამად, სემესტრის დასასრულს, მიმდინარეობს სტუდენტთა გამოკითხვა ლექტორთა და სასწავლო კურსების შეფასების მიზნით.

სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია კოლეგიური ურთიერთდასწრების მექანიზმი, რომელიც, წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, ამოქმედდება მომდევნო სემესტრიდან.

ალტერბრიჯში ასევე შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმების გამოყენების პერიოდსა და მონაწილეებს. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულად დაინერგება ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, ჩარჩოს შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისთვის ალტერბრიჯში შემუშავებულია მრავალფეროვანი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მრავალმხრივ შეფასებას, მათ შორის, დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრის ჩართულობით. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, ასევე სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შიდა შეფასების შედეგების საფუძველზე, სახეუა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მნიშვნელოვანია, ასევე, აღინიშნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კავშირი სტუდენტებთან. სტუდენტთა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად

ატარებს ფოკუს-ჯგუფებს, მრგვალ მაგიდებსა და სტუდენტებთან პირისპირ კომუნიკაციას, რაც კარგი პრაქტიკაა და ხარისხის უზრუნველყოფის მოქნილ სისტემასა და მიდგომებზე მიაწვდის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტაცია;
- გამოკითხვის ფორმები, ანგარიშები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების სქემა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა


შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ლილი ხერუაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების
მზია თედიაშვილი



თინათინ გაბრიჩიძე



ნინო მანგუა

